1979/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 3 (458)

1979 წლის მარტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარეულო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 3 (458) მარტი 1979 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

43. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქ. ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების შესახებ.
44. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

განყოფილება მეორე

45. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. ს. ჭანბასათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
46. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
47. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ი. კოტაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
48. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. ყარყარაშვილისათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
49. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ჟურნალ „დილას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

50. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. ბუხნიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

51. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ტ. კვიცინიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

52. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. კურტანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

53. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ტ. ტყეშელიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

54. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ნ. შანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

55. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. რ. ბოთერაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. რ. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. ოვერჩუკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. როიტბაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. დ. ფარულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. მ. ქავთარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. კიკნაველაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. ქ. ლაზარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

66. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. ბოლქვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მესამე შრომითი სემესტრისა და მეხუთე შრომითი მეოთხედის მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ხ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. კავკასიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

70. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. კ. ლარცულიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ნ. მატარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. ნუცუბიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ზ. ფიცხელაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. ჭიჭინავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საინფორმაციო ცნობები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

43 ქ. ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების ჩატარების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 68-ე და 69-ე მუხლების შესაბამისად დაინიშნოს ქ. ქუთაისის ლენინის და ავტოქარხნის რაიონების სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები კვირას, 1979 წლის 25 მარტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 6 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

44 ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის პასუხისმგებლობის კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1978 წლის 14 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები „წვრილმანი სპეკულაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1969 წლის 30 ივნისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1969 წ., № 6, მუხ. 123):

1) პირველი მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „პატიმრობით ვადით ათიდან თხუთმეტ დღემდე, ან“;

2) მე-3 და მე-4 მუხლებში სიტყვა „ღონისძიებათა“ შეიცვალოს სიტყვით „ღონისძიების“;

3) მე-5 და მე-6 მუხლები ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.

2. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესებისა და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29

მაისის ბრძანებულებაში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1973 წ., № 5, მუხ. 81; 1975 წ., № 11, მუხ. 204):

1) პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს, რომ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი გატაცება, თუ იგი ჩადენილია პირველად, გამოიწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას — ჯარიმას ათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, მატერიალური ზარალის ანაზღაურებით“;

2) მე-6, მე-7 და მე-9 მუხლები ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი.

3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლის მეორე ნაწილს ციფრების „150-153“ შემდეგ დაემატოს ციფრები „240, 252[1]“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 20 მარტი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

45 ამხ. ზ. ს. ჭანჭასათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, სოხუმის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის ტელეფონისტს, ამჟამად პენსიონერს, ამხ. ზინაიდა სამსონის ასულ ჭანჭას მიენიჭოს **საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

46 საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოებსა და რესპუბლიკის პროკურატურაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება:**

ვერა იოსების ასულ **დგებუაძეს** — საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის უფროს კონსულტანტს.

ოლღა გიორგის ასულ **ზანგურს** — საქართველოს სსრ პროკურატურის სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისადმი ზედამხედველობის განყოფილების ყოფილ პროკურორს.

მარგარიტა ივანეს ასულ **თუხარელს** — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ქ. რუსთავის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 16 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

47 ამხ. ლ. ი. კოტაშვილისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკურ ბიბლიოთეკებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბიბლიოთეკის გამგეს ამხ. ლეილა იოსების ასულ **კოტაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 19 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

48 ამხ. ა. ვ. ყარყარაშვილისათვის საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს საქალაქთაშორისო ტელეფონ-ტელეგრაფის სამმართველოს უფროსს ამხ. არჩილ ვასილის ძე **ყარყარაშვილს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

49 ჟურნალ „დილას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნორჩი თაობის აღსაზრდელად გაწეული ნაყოფიერი მუშაობისათვის და გამოცემის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით ჟურნალი **„დილა“** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

50 ამხ. გ. გ. გუხნიკაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ახალი ამბების სააგენტოს საქართველოს განყოფილების გამგე ამხ. გუგული (გურამ) გრიგოლის ძე **გუხნიკაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

51 ამხ. ი. ტ. კვიცინიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. იური ტარიელის ძე **კვიცინია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

52 ამხ. გ. ნ. კურტანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მრეწველობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, ქარხანა „ცენტროლიტის“ მეკოპეთა ბრიგადის ბრიგადირი ამხ. გიორგი ნიკოლოზის ძე **კურტანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

53 ამხ. გ. ტ. ტყეშელიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების გამგე ამხ. გიორგი ტერენტის ძე **ტყეშელიაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

54 ამხ. გ. ნ. შანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მშენებლობისა და საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. გივი ნიკოლოზის ძე **შანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 7 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

55 ამხ. ბ. რ. ბოთერაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. გიორგი რაფიელის ძე **ბოთერაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

56 ამხ. ა. მ. დავითაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის და დამზადების განყოფილების უფროსი რეფერენტი ამხ. ავთანდილ მიხეილის ძე **დავითაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

57 ამხ. ა. რ. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სოფლის მეურნეობის და დამზადების განყოფილების უფროსი რეფერენ-

ტი ამხ. ალექსი რუბენის ძე **თოფურია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

58 ამხ. ა. მ. ოვერჩუკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის გაწეული აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმიანობისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ალექსი მეთოდეს ძე **ოვერჩუკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

59 ამხ. ა. ი. როიტბაკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ამხ. ალექსანდრე ილიას ძე **როიტბაკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 ამხ. გ. დ. ფარულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველობის ინსტრუქტორ-კონტროლიორი ამხ. გრიგოლ დავითის ძე **ფარულავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

61 ამხ. ს. მ. ქავთარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კაპიტალური მშენებლობის განყოფილების ყოფილი გამგე, ამჟამად პენსიონერი, ამხ. სიმონ მიხეილის ძე **ქავთარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 11 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

62 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და ჟურნალ „**დილას**“ გამოცემის 50-ე წლისთავთან დაკავშირებით, **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:**

ანზორ სიმონის ძე **აბულაშვილი** — პასუხისმგებელი მდივანი;

ვლადიმერ პავლეს ძე **ბალიაშვილი** — მაღალი ბეჭდვის სასინჯი ანაბეჭდის ამომღები.

გიორგი დავითის ძე **როინიშვილი** — მხატვრული რედაქტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 15 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

63 ამხ. ა. ს. კიკნაველიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, დაბა მაიაკოვსკის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ანდრია სამსონის ძე **კიკნაველიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 19 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

64 ამხ. ფ. ქ. ლაზარაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, კოლეგიის წევრი — საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელი კადრების განყოფილების უფროსი ამხ. ფილიმონ ქრისტეფორეს ძე **ლაზარაშვილი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 19 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

65 ამხ. ნ. ა. მეძმარიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ამხ. ნოდარ აკაკის ძე **მეძმარიაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 19 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 ამხ. ა. მ. ბოლქვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. არჩილ მემედის ძე **ბოლქვაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 20 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 მესამე შრომითი სემესტრისა და მეხუთე შრომითი მეოთხედის მონაწილეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1978 წლის მესამე შრომით სემესტრსა და მეხუთე შრომით მეოთხედში მიღწეული წარმატებებისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა რაზმი;

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის ლენინის და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი;

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი;

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა რაზმი;

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი;

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი;

გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა რაზმი;

თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის სტუდენტთა რაზმი;

ჩხოროწყუს მექანიკური ტექნიკუმის მოსწავლეთა შრომითი რაზმი;

თბილისის 96-ე საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი რაზმი;

რუსთავის 21-ე საშუალო სკოლის უფროსკლასელთა შრომითი რაზმი;

მახარაძის რაიონის ვაკიჯვრის საშუალო სკოლის მოსწავლეთა შრომითი რაზმი;

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი, ვ. ი. ლენინის სახელობის სტიპენდიატი ივანე ვახტანგის ძე **ვახტანგიშვილი;**

საქართველოს ალკკ თბილისის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი, კამის საავტომობილო ქარხნის საკავშირო კომკავშირულ დამკვრელურ მშენებლობაზე მომუშავე სტუდენტთა რაზმის მეთაური გოდერძი კლიმენტის ძე **ბუკია;**

თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეანობა-გინეკოლოგიის კათედრის ასისტენტი, სტუდენტთა სამშენებლო რაზმის მეთაური ჯანსუღ გიორგის ძე **იოსელიანი;**

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი იგორ ილიას ძე **ბარსკი;**

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი ამირან ნიკოლოზის ძე **ხერგიანი;**

ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი გელა ვარლამის ძე **ტყაბლაძე;**

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზაღზრდის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი არჩილ ილიას ძე **ქათამაძე;**

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დიმიტრი ივანეს ძე **ხურცილავა;**

საქართველოს ალკკ ცკ სტუდენტთა სამშენებლო რაზმების რესპუბლიკური შტაბის ინსტრუქტორი ვაჟა დიმიტრის ძე **რაჟამაშვილი;**

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მე-5 კურსის ფრიადოსანი სტუდენტი ირინე დავითის ასული **გაბაძე;**

თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ნინო ჯიმშერის ასული **ნანობაშვილი.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 22 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

68 ამხ. მ. ხ. აბაშიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. მამია ხასანის ძე **აბაშიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

69 ამხ. ა. გ. კავკასიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული მეოთხე მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ამხ. ამირან გიორგის ძე **კავკასიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

70 ამხ. შ. კ. ლარცულიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში" საინფორმაციო ბიულეტენის სარედაქციო ჯგუფის უფროსი რედაქტორი ამხ. შიო კონსტანტინეს ძე **ლარცულიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

71 ამხ. ლ. ნ. მატარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული უცხოეთის ტურიზმის სამმართველოს უფროსი ამხ. ლევან ნიკოლოზის ძე **მატარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 ამხ. ა. გ. ნუცუბიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის პოლიტეკონომიის განყოფილების გამგე

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

პროფესორი აპოლონ გაბრიელის ძე **ნუცუბიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 ამხ. გ. ზ. ფიცხელაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობისათვის, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოციალურ-ჰიგიენური გერონტოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი პროფესორი გრიგოლ ზაქარიას ძე **ფიცხელაური** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 ამხ. ვ. მ. ჭიჭინავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი ამხ. ვალერიან მალაქიას ძე **ჭიჭინავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 27 მარტი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 საბჭოთა არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1979 წლის 7 მარტიდან 29 მარტამდე ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით, მშრომელთა იდეურ-ესთეტიკური, ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში დიდი წვლილისათვის, **საბჭოთა არმიის ცენტრალური აკადემიური თეატრი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1979 წლის 28 მარტი.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1979 წლის 29 მარტის სხდომაზე მოისმინა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის ამხ. ვ. სობოლევის ინფორმაცია, საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებში განხორციელებული ღონისძიებანი „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა როლის ამაღლებისა და მათი შრომის, ყოფა-ცხოვრების პირობების, დედისა და ბავშვის დაცვის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების ამოცანების შესახებ“ საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს 1978 წლის 28 ივნისის დადგენილების შესასრულებლად ჯერ კიდევ არ არის საკმარისი და სრულად ვერ პასუხობს სესიის დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და დაავალა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს (ამხ. ვ. სობოლევი):

მიიღოს ყველა საჭირო ზომა საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების მოთხოვნათა განუხრელად და

უთუო შესრულებისათვის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ ყველა საწარმოში;

განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში ქალთა შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფას, მათი ყოფა-ცხოვრებისა და რაციონალური დასვენების, დედისა და ბავშვის დაცვის მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, საოჯახო შრომის შემსუბუქების მიზნით გაითვალისწინოს მომსახურების პროგრესული ფორმებისა და მეთოდების განვითარების უპირატესი ტემპი; მუდმივი კონტროლი დააწესოს მუშა-ქალთა სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სამედიცინო, სანატორიულ-საკურორტო, პროფილაქტიკურ-გამაჯანსაღებელი და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაზე. სისტემატურად იზრუნოს ქალთა განათლების დონის ამაღლებაზე, მათ პროფესიულ დაოსტატებაზე.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, რესპუბლიკის საოლქო, რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაევალათ, უზრუნველყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების განუხრელად შესრულება და გააძლიერონ კონტროლი ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და დასვენების პირობების გაუმჯობესებაზე.

*

* *

სხდომაზე მოსმენილ იქნა დაჯილდოების განყოფილების ინფორმაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1978 წელს მრავალშვილიანი დედების ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ რესპუბლიკაში. აღინიშნა, რომ მართალია რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოები საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის დადგენილების შესაბამისად მეტ ყურადღებას უთმობენ მრავალშვილიანი დედების შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების, მათი ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების საკითხებს, მაგრამ ამასთანავე მრავალშვილიანი დედების „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოების საქმეში მათ ჯერ კიდევ გააჩნიათ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა:

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს, სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ სათანადო ზომები მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის საქმეში არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეცხრე სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები მრავალშვილიანი ოჯახებისა და მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების გასაწევად და განსაზღვრული შე-

ღავათების მისაცემად; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ დასაჯილდოებელი დედების აღრიცხვის საქმის სათანადოდ მოწესრიგებას, დაჯილდოების შესახებ მასალების მომზადებისა და გაფორმების დადგენილი წესისა და ვადების დაცვას, ჯილდოების გადაცემის ორგანიზაციას; პერიოდულად განიხილონ საკითხები მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების პრაქტიკიდან; უფრო მეტად იზრუნონ მრავალშვილიანი დედების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის; სისტემატურად შეამოწმონ, თუ როგორ სრულდება კანონმდებლობის მოთხოვნები დედისა და ბავშვის დაცვის შესახებ;

სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს — სისტემატურად განიხილონ მრავალშვილიანი დედების დასაჯილდოებლად წარდგენის საკითხები; დროულად წარადგინონ ზემდგომ საბჭოთა ორგანოში სათანადო დოკუმენტაცია, დააწესონ კონტროლი, რათა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებმა პრაქტიკაში დანერგონ შუამდგომლობის აღძვრა მრავალშვილიანი დედების დაჯილდოების შესახებ;

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს — დააწესოს კონტროლი მრავალშვილიანი დედების აღრიცხვისა და მთავრობის სათანადო ჯილდოებზე მათი დროულად წარდგენისადმი; მეტი დახმარება გაუწიოს თავის ადგილობრივ ორგანოებს მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში.

* * *

პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე საკითხები მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის სამუშაო გეგმის შესახებ; 1978 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შემოსული მშრომელთა წინადადებების, წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობისა და მოქალაქეთა მიღების თაობაზე; საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის ინფორმაცია „ლაგოდეხისა და ვანის რაიონებში საკოლმეურნეო მართვის დემოკრატიული პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 27 ოქტომბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე გურჯაანის, ვანის, ლაგოდეხის, ცხაკაიას და ჩოხატაურის რაიონებში და სხვ.

* * *

ყველა საკითხზე მიღებულ იქნა სათანადო დადგენილება.

საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-

უმის 1979 წლის 29 მარტის ბრძანებულებით „ᲛᲐᲬᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დაჯილდოვდა 110 მრავალშვილიანი დედა:

ქ. თბილისის ლენინის	რაიონიდან	2
„ პირველი მაისის	„	1
ახალციხის	რაიონიდან	4
ახმეტის	„	2
ბოლნისის	„	10
ბორჯომის	„	3
გორის	„	6
დმანისის	„	13
ზუგდიდის	„	3
თელავის	„	1
ლაგოდეხის	„	13
მახარაძის	„	6
მესტიის	„	7
ორჯონიკიძის	„	3
საგარეჯოს	„	17
ჩოხატაურის	„	3
ცხაკაიას	„	1
ხაშურის	„	8
ხობის	„	7

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 29 მარტის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 3.086 კაცი:

ქ. თბილისის ლენინის	რაიონიდან	277
„ კალინინის	„	136
„ ოქტომბრის	„	113
„ 26 კომისრის	„	34
„ 1 მაისის	„	201
„ საქარხნო	„	50
ქ. ზუგდიდიდან		31
ქ. ქუთისის ლენინის	რაიონიდან	83
„ ავტოქარხნის	„	74
ქ. ფოთიდან		73

ბოლნისის	რაიონიდან	32
ბორჯომის	„	12
გეგეჭკორის	„	63
დმანისის	„	44
ვანის	„	308
თერჯოლის	„	58
ლანჩხუთის	„	147
ლენტეხის	„	5
მაიაკოვსკის	„	23
მცხეთის	„	8
ორჯონიკიძის	„	113
საგარეჯოს	„	380
სამტრედიის	„	38
ჩოხატაურის	„	122
ჩხოროწყუს	„	180
ცხაკაიას	„	132
წალენჯიხის	„	109
წალკის	„	103
წულუკიძის		87
ხაშურის	„	50